

№06

06 აპრილი 2015 წელი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლთა დაცვის ეოვნული სააგენტოს
დირექტორს ბ.ნ ნიკოლოზ ანთიძეს


ბნ. ნიკოლოზ,
თქვენს მიერ 2015 წლის 1 აპრილს მოწერილი წერილების № 10/08/2/560,
№10/08/2/557 და №10/08/2/556 პასუხად გიგზავნით მოთხოვნილ დოკუმენტაციას.

პატივისცემით

შპს. "არქიტექსი" -ს

დირექტორი

ვლ. ტყეშელაშვილი



სარეაბილიტაციო საპროექტო ობიექტის წინასწარული

არსებული მდგომარეობის აღწერა და დაზიანების გამომწვევი მიზეზების შეფასება

თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზირი № 127

შენობა აიგო 1950 წელს პეტერბურგელი არქიტექტორისა და ინჟინრის გაბრიელ (გაბო) ტერ-მიქელოვის მიერ. შენობა მდებარეობს დავით აღმაშენებლის პროსპექტის შუაწელში, ქუჩის განაშენიანების მარცხენა რიგში. ამჟამად ბაღის მხარე, შენობის ნაწილის ნახევარი დაკავებული აქვთ გრილ-ბარისა და საქართველოს ბანკის დაწესებულებებს. ზოგადი დათვალიერების შედეგად კარგად ჩანს, რომ შენობის ეს მხარე მეტნაკლებად “მოწესრიგებულია”. მხოლოდ სიმაღლის ადგილებში შენიშნება ალაგ-ალაგ გაშიშვლებული კედლები. დაწესებულებათა ყურადღების მიღმა დარჩენილა ამ მხარეს მოხვედრილი რიზალიტის ღია ფანჩატური, რომლის ჭერი და უკანა თაღოვანი ღიობი დაზიანებულია. განსხვავებული სურათი გვაქვს შენობის მეორე ნახევარში. დათვალიერებისას შეინიშნება მთავარი ფასადის რიზალიტზე დადგმული ფანჩატურის ძლიერი დაზიანების ხარისხი. დაზიანებულია ამ მხარეს მოხვედრილი ფასადის ნაღესობა, მინაშენისაკენ კედლებზე შეინიშნება ღრმა ბზარებიც. ასევე სავალალო მდგომარეობაშია უკანა ფასადი. დაზიანებულია სარკმლის ღიობები, მათი ჩარჩოები, სართულშუა კარნიზის შვერილები. ინტერიერის დაზიანების ხარისხი ყველაზე მკვეთრად საკონცერტო დარბაზში ვლინდება. სახურავის ამ ნაწილიდან ჩამოდინებული წყლების გამო ჩამორღვეულია ჭერი და გასამაგრებელი ხდება საყრდენი კონსტრუქციები. შენობის დაზიანებების გამომწვევი მიზეზების ზუსტი დადგენა მოხდება მასზე ჩასატარებელი კონსტრუქციულ და გეოლოგიურ კვლევების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდება ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება პირვანდელი არქიტექტურული იერსახის შენარჩუნება.

სარეაბილიტაციო საპროექტო ობიექტის წინასწარული

სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა

საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი, ყოფილი რკინიგზელთა კულტურის სახლი,

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №127

შენობა აიგო 1950 წელს პეტერბურგელი არქიტექტორისა და ინჟინრის გაბრიელ (გაბო) ტერ-მიქელაშვილის მიერ. რომელსაც 1949 წლამდე თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობა ეკავა. ნაგებობა შესრულებულია 1940-ანი წლების საზოგადოებრივი შენობებისთვის დამახასიათებელი კლასიციზმის სტილით და წარმოადგენს ე.წ. სტალინური არქიტექტურის მხატვრულად ღირებულ ნიმუშს. იგი აშენდა რკინიგზელთა კულტურის სახლის ფუნქციით.

შენობა მდებარეობს დავით აღმაშენებლის პროსპექტის შუაწელში, ქუჩის განაშენიანების მარცხენა რიგში. პროსპექტის ხაზიდან სიღრმეში შეწეული ნაგებობის წინ კეთილმოწყობილი მცირე მოედანია განლაგებული. მას მარჯვენა და უკანა მხრიდან ჯანსუფ კახიძის (ყოფილი “გოფილექტის”) ბაღი, ხოლო მარცხენა მხრიდან ჯანსუფ კახიძის მუსიკალური ცენტრის (ძველი ფილარმონიის) შენობა უახლოვდება. სარეაბილიტაციო ობიექტსა და ჯ.კახიძის მუსიკალურ ცენტრს შუა (ბაღის ზღვარზე) სიღრმეში მოქცეულია სუბივივების ცეკვის აკადემიის შენობა.

ცოკოლზე აღმართული ნაგებობის მთავარი და გვერდითა ფასადები ორი დონით იხსნება სივრცეში. უკანა მხრიდან შენობას გააჩნია ოთხი დონის სიმაღლეამდე ასული მიშენება. პროსპექტისკენ მომართული ფასადის იმპოზანტურობას ღია ფანჯატურებით დაგვირგვინებულ რიზალიტებს (2) შორის მოქცეული პარადული კიბეების, სვეტებზე გადასროლილი თაღებისა და ბალუსტრადის კლასიკური მოტივი იწვევს. ბაღისკენ მობრუნებულ გვერდითა ფასადის შესასვლელსაც განიერი პორტიკო-ბალუსტრადა აქვს მიღებული. რიზალიტებითა და კაპიტელიანი პილასტრებით, სამკუთხა ფრონტონის შვერილებით დასრულებული (ზედა დომეზე) დიდი სარკმლების ვერტიკალებითა და ჰორიზონტალურად გაზიდული სართულშუა კარნიზის ძლიერი შვერილით დანაწვრთვნილი გვერდითა ფასადებიც პარადულ ხასიათს ატარებენ. მაღალი მინაშენის სადა ფასადებს მხოლოდ ღიობების რიტმი და ფრონტონით დაგვირგვინებული უკანა ფასადის განიერი რიზალიტი აცოცხლებს.

ამჟამად ბაღის მხარე, შენობის ნაწილის ნახევარი დაკავებული აქვთ გრილ-ბარისა და საქართველოს ბანკის დაწესებულებებს. ზოგადი დათვალიერების შედეგად კარგად ჩანს, რომ შენობის ეს მხარე მეტნაკლებად “მოწესრიგებულია”. სადარბაზო შესასვლელების ავთენტური ფორმები შეცვლილია რკინის თანამედროვე დეკორატიული კარებებით. სახურავის ამ

ნაწილის გაახლებისას პორტიკს ზედა დონეზე გაუკეთდა დამატებითი ფრთა, ხოლო მისი ლავგვარდანის ქვეშ სვეტები გაფორმდა მოდერნის სტილის შესატყვისი კონტურით “მოძრავი” მარტივი ფართო ბადით. დეკორატიული ნაღესობა ამ მხარეს ძირითადად შენარჩუნებულია, მხოლოდ სიმების ადგილებში შენიშნება ალაგ-ალაგ გაშიშვლებული კედლები. დაწესებულებათა ყურადღების მიღმა დარჩენილა ამ მხარეს მოხვედრილი რიზალიტის ღია ფანჩატური, რომლის ჭერი და უკანა თაღოვანი ღიობი დაზიანებულია.

განსხვავებული სურათი გვაქვს შენობის მეორე ნახევარში. დათვალიერებისას შეინიშნება მთავარი ფასადის რიზალიტზე დადგმული ფანჩატურის ძლიერი დაზიანების ხარისხი. უფრო მეტიც, მისი უკანა თაღი ამოქოლილია. დაზიანებულია ამ მხარეს მოხვედრილი ფასადის ნაღესობა, მინაშენისაკენ კედლებზე შეინიშნება დრმა ბზარებიც. შელახულია დეკორატიული კონსტრუქციები, სარკმლის ღიობების ჩარჩოები. გარდა ამისა, შეინიშნება სარკმლების ადგილას დამატებითი შესასვლელების გამართვა, რაც არღვევს შენობის არქიტექტურისთვის დამახასიათებელ სიმწყობრესა და კლასიკურ რიტმიკას. ამ მხარესაც დაკარგულია სადარბაზო შესასვლელთა ავთენტური ფორმები.

ასევე სავალალო მდგომარეობაშია უკანა ფასადი. დაზიანებულია სარკმლის ღიობები, მათი ჩარჩოები, სართულშუა კარნიზის შვერილები.

ინტერიერის დაზიანების ხარისხი ყველაზე მკვეთრად საკონცერტო დარბაზში ვლინდება. სახურავის ამ ნაწილიდან ჩამოდინებული წყლების გამო ჩამორღვეულია ჭერი და გასამაგრებელი ხდება საყრდენი კონსტრუქციები. გაახლებას საჭიროებს ფოიეების კედლები, ხეში ნაკვეთი კარებები და დეკორატიული იატაკი, ბოძების მარმარილოს ეფექტებით მოპირკეთება და სხვა.

ზედაპირული დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებები ცხადყოფს, რომ შენობა მოითხოვს გადაუდებელ რეაბილიტაციას. ამ პროცესის სრულფასოვანი ჩატარება უნდა მოხდეს შენობის ავთენტური ფორმებისა და მასალის გათვალისწინებით, დროთა განმავლობაში დაკარგული დეკორატიულ-კონსტრუქციული ელემენტების პრაქტიკულ-თეორიულ საფუძველზე მოძიება-დაზუსტებისა და აღდგენის გზით.

ხელოვანთმცოდნეობის დოქტორი: მაია იზორია

წინასწარი კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. No127-ში

შენობის რეკონსტრუქციის პროექტისათვის

ქ. თბილისის სეისმიური დარაიონების რუკის თანახმად საკვლევი უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმიურ ზონას.

სარეკონსტრუქციო შენობა 3 სართულიანია სარდაფით. შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა რომ შენობას არ გააჩნია რაიმე სერიოზული დაზიანებები.

რეკონსტრუქციის პროექტის შესადგენად აუცილებელია დადგინდეს წინა წლებში ჩატარებული გამაგრებითი სამუშაოების სახეობა და მეთოდები.

რეკონსტრუქციის პროექტით ჩასატარებელია:

- შენობის გეოლოგიური კვლევის შედეგების გათვალისწინებით დადგინდება საძირკვლების გამაგრების აუცილებლობა და თვითონ გამაგრების მეთოდი
- შენობის შესწავლის შედეგად დადგინდეს შენობის სეისმომდებლობის ასამაღლებლად ჩასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობა (ანტისეისმიური სარტყელი ან შენობის მოჭიმვა, შუაკედლების და ღიობების მოყვანა სეისმიურ მოთხოვნებამდე. მზიდი კედლების განლაგების შესწავლის შემდეგ განისაზღვროს გრძივი ან განივი სიხისტეების შექმნის აუცილებლობა)
- დაზიანებული ღიობების გამაგრება რკინაბეტონის ან ლითონის მოჩარჩოებით
- დაზიანებული კედლების გამაგრება (ინიექცია პოლიმერ-ცემენტით, არმატურის ბადეზე ქვიშა-ცემენტის გალესვა და ა.შ.)
- შესწავლის შედეგად დადგინდეს გადახურვის კონსტრუქციების გამაგრების აუცილებლობა (ახალი ელემენტებით ჩანაცვლით ან არსებული ელემენტების გამაგრებით)

შენობის რეკონსტრუქციისათვის ჩასატარებელია შენობის დეტალური კონსტრუქციული კვლევა. აღნიშნული კვლევის და გეოლოგიური დასკვნის შედეგების გათვალისწინებით დაისახება შენობის გასამაგრებლად ჩასატარებელი ღონისძიებები.

კონსტრუქტორი



გ. ცომაია

წინასწარი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა
ქ. თბილისში, ღაპით აღმაშენებლის ბაზ. №127-ში შენობის
რეკონსტრუქციის პროექტისთვის

განყოფილების არქივში არსებული მასალების მიხედვით:

გეომორფოლოგიურად, აღნიშნული უბანი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ჭაღისზედა I ტერასის ნაწილს, უმნიშვნელო დახრით მდინარის მიმართულებით.

უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მიწის ზედაპირიდან 1,0–1,5 მ-ის სიღრმის ფარგლებში, გავრცელებულია ტექნოგენური (tQIV) გრუნტი, რომელიც იცვლება დელუვიური (dQIV) თიხოვანი გრუნტით (10–15%-მდე ხვინჯის ჩანართებიანი, ძნელპლასტიკური – რბილპლასტიკური კონსისტენციის, ღიაყავისფერი თიხნარი), რომლის ქვეშ $\approx 6,5$ მ-ის სიღრმიდან გავრცელებულია 2,0–2,5 მ-მდე სიმძლავრის ალუვიური (მდინარეული) გენეზისის (αQIV), მსხვილნატეხოვანი კენჭნაროვანი გრუნტი, რომელიც შემოფენილია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით, ეროზიული ზედაპირიდან ≈ 2 მ-ის სიღრმემდე ძლიერ გამოფიტულია, სიღრმეში – ნაკლებად გამოფიტული.

გრუნტის წყლის გამონენის სავარაუდო დონე $\approx 5,0$ მ და ხასიათდება სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით.

პნ 01.01-09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში.

– რეკონსტრუქცია (მშენებლობა), შეიძლება განხორციელდეს შეზღუდვის გარეშე.

– წინამდებარე დასკვნა შედგენილია წინასაპროექტო დოკუმენტაციისთვის და წარმოდგენას იძლევა საკვლევი უბნის ზოგადი – გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ.

– საკვლევ უბანზე კონკრეტული ნაგებობის განთავსებისას, საჭირო იქნება დეტალური საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩატარება მუშა ნახაზების სტადიაზე, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით (სნ და ვ 1.02.07-87, პნ 02.01-08, სტანდარტი 25100-82).

წამყვანი ინჟინერ გეოლოგი

ნ. ილაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი

ზ. კვაჭანტირაძე

